სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

**ბრძანება** № NCDC 8 22 00000084

**ქ. თბილისი** 15/12/2022 **წელი**

**„გრიპის სეზონურ ვაქცინაციას დაქვემდებარებული რისკის და სპეციფიური პრიორიტეტული ჯგუფების ნუსხისა და ვაქცინაციის ჩატარების წესის შესახებ“ სსიპ- ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2022 წლის 7 სექტემბრის № NCDC 0 22 00000031 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

**საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის შესაბამისად**

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

**1.** „გრიპის სეზონურ ვაქცინაციას დაქვემდებარებული რისკის და სპეციფიური პრიორიტეტული ჯგუფების ნუსხისა და ვაქცინაციის ჩატარების წესის შესახებ“ სსიპ- ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2022 წლის 7 სექტემბრის № NCDC 0 22 00000031 ბრძანებას დაემატოს **1**[1] პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„1**[1]**.** ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული 2022-2023 წლების გრიპის სეზონურ ვაქცინაციას დაქვემდებარებული რისკის და სპეციფიური პრიორიტეტული ჯგუფების გარდა, 15 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ვაქცინაციას დაექვემდებაროს საქართველოს მოქალაქეობის მქონე ნებისმიერი პირი 6 თვის ასაკიდან.

**2**. დაევალოს ცენტრის იურიდიულ სამმართველოს (ლ.ებანოიძე) უზრუნველყოს ამ ბრძანების გამოქვეყნება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე www.ncdc.ge.

**3.** ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**4.** ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
თამარ გაბუნია

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად